პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ოქტომბერი 19 № 246 (16372) ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ მუშაობის მაღალ ნაყოფიერებას, უფრო სრულად გამოიყენეთ შიდასაწარმოო რეზერვები! განამტკიცეთ დისციპლინა და ორგანიზებულობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

სკკპ XXV ყრილობის უსასყიდლად

დამამთავრებელი წლის ფინიშზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1975 წლის ცხრა თვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები იმ მასალების მიხედვით, რომლებიც წარმოადგინეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ.

ალინიშნა, რომ რესპუბლიკის შრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში. ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრისა და 1975 წლის აპრილის პლენუმების ვადაწყვეტილებებით და ახორციელებენ ამოცანებს, რომლებიც დასახულია პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიებსა და გამოსვლებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ვახაკრძობენ ბრძოლას წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების მუდმივი გადიდებისათვის, ფართოდ ფენენ წარმოების ზრდის რეზერვებს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დაკალებებისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, განსაკუთრებულ ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, აძლიერებენ მისი წარმოების ხარჯებს. რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები, ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ", კისრულობენ ახალ დამატებითს ვალდებულებებს. მშრომელებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივისა და თბილისს ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის შეკოჰეთა ბრიგადის პატრიოტულ ინიციატივას, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ცხრა თვეში წარმოებულია 153.1 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 142,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ამ სამინისტროებისა და უწყებების, ქალაქებისა და რაიონების მუშაკებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი და შემხვედრი გეგმები. ესენი არიან კვების მრეწველობის, საავტომობილო გზების, საავტომობილო ტრანსპორტის, ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის, დამზადების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს; ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ტყვარჩელის, გაგრისა და ჭიათურის; აბიგენის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ზუგდიდის, ახმეტის, მახარაძის, გორის, გუდაუთის, სოხუმის, გურჯაანის, დუშეთისა და სხვა რაიონების შრომითი კოლექტივები.

ამასთან ერთად ცხრა თვის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში იყო ნაკლოვანებებიც. ვალდებულებები არ შეუსრულებიათ მშენებლობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ზოგიერთ სხვა სამინისტროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრეს 1975 წლის ცხრა თვის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი:

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებული:
მშენებლობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
კვების მრეწველობის სამინისტრო — ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	კვების მრეწველობის სამინისტრო
საავტომობილო გზების სამინისტრო — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	საავტომობილო გზების სამინისტრო
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — კავშირგაბმულობის სამინისტრო	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო — საბუჭეი მრეწველობის სამინისტრო	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო
დამზადების სამინისტრო — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა"	„საქსოფლტექნიკა"
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო
საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო — საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
ეკონომიკური — ვაჭრობის სამინისტრო	ვაჭრობის სამინისტრო
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი — სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამინტაჟო და სპეციალურ-სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო — „საქმიდროეფრგომშენის" ტრესტი	სამინტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო

ასს რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებული:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აჭარის ასსრ
აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	აფხაზეთის ასსრ

რაიონები

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებული:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებული:
ბათუმი — სოხუმი	ბათუმი	სოხუმი — ცხინვალი	სოხუმი
გორი — ცხინვალი	გორი	ტყვარჩელი — ტყიბული	ტყვარჩელი
ზუგდიდი — ფოთი	ზუგდიდი	ტყიბული — ჭიათურა	ჭიათურა
ქუთაისი — რუსთავი	ქუთაისი		

რაიონები

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებული:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებული:
აბაშის — წითელწყაროს	აბაშის	ზნაურის — ქარელის	ქარელის
ადიგენის — ასპინძის	ადიგენის	ზუგდიდის — მახარაძის	ზუგდიდის
ამბროლაურის — ონის	ონის	ყაზბეგის — ლენინგორის	ლენინგორის
ახალქალაქის — ბოგდანოვკის	ბოგდანოვკის	კასპის — მცხეთის	მცხეთის
ახალციხის — ხაშურის	ხაშურის	ქედის — შუახევის	შუახევის
ახმეტის — ყვარლის	ახმეტის	ქობულეთის — ხელვაჩაურის	ქობულეთის
ბოლნისის — დმანისის	დმანისის	ლაგოდეხის — მარნეულის	მარნეულის
ბორჯომის — წყალტუბოს	წყალტუბოს	ლენტეხის — მესტიის	ლენტეხის
ვანის — თერჯოლის	თერჯოლის	მაიაკოვსკის — წულუკიძის	წულუკიძის
ქ. გაგრა — გუდაუთის	ქ. გაგრა	ორჯონიკიძის — საჩხერის	საჩხერის
გალის — ოჩამჩირის	გალის	სიღნაღის — წითელწყაროს	სიღნაღის
გარდაბნის — მარნეულის	მარნეულის	საგარეჯოს — სიღნაღის	სიღნაღის
გეგეჭკორის — ლანჩხუთის	ლანჩხუთის	თიანეთის — ლენინგორის	თიანეთის
გორის — თელავის	გორის	ობის — ჩხოროწყუს	ჩხოროწყუს
გუდაუთის — ცხაკაიის	გუდაუთის	ხულოს — შუახევის	შუახევის
გულრიფშის — სოხუმის	სოხუმის	ცაგერის — ლენტეხის	ლენტეხის
გურჯაანის — თელავის	გურჯაანის	წალენჯიხის — გალის	წალენჯიხის
ჯავის — ლენინგორის	ლენინგორის	წალკის — დმანისის	დმანისის
დუშეთის — თეთრი წყაროს	დუშეთის	წულუკიძის — წყალტუბოს	წყალტუბოს
ზესტაფონის — სამტრედიის	სამტრედიის	ცხინვალის — ზნაურის	ზნაურის
		ნოხატაურის — ლანჩხუთის	ლანჩხუთის

□ □ □

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სსრ ყველა შრომითმა კოლექტივმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა, სამინისტრომ და უწყებამ ყოველმხრივ უნდა გააანალიზონ ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციების, დარგების, ქალაქებისა და რაიონების ჩამორჩენის მიზეზები და შინაგანი რეზერვების ეფექტიანი და ოპერატიული გამოყენების გზით დაუყოვნებლივ გამოასწორონ მოგომარეობა, ხოლო პარტიულმა კომიტეტებმა გააქტიურონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მშრომელთა აქტივობის შემდგომი ამაღლებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების განვითარებისათვის, მისი ქმედითობისა და საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში მამობილიზებელი როლის ამაღლებისათვის, ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს ობიექტების სამეურნეო საქმიანობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის.

მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შემდგომი გაუმჯობესება და განმტკიცება მნიშვნელოვანწილად შეუწყობენ ხელს ეკონომიკის ამაღლებას. პრესა, ტელევიზია და რადიო, მახობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება უფრო კონკრეტულად, მიზანდასახულად, საბრძოლო ხულისკვეთებით უნდა გამოდიოდნენ, როგორც იმ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლის კოლექტიური ორგანიზატორები, პროპაგანდისტები და აგიტატორები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა მშრომელებს, რომლებიც მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. (საინფორმო).

გამის სატრანსპორტო არტერიები

მძლავრი, საწვერების გუგუნი გისმა ტაიგაში მდინარე სელემჯის ერთ-ერთი უდიდესი შეერთების დელტაში. დაიწყო ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის ათწლეული. ეტაპი საერთოდ პუნქტი. როგორ ძიებენ „დიდ მიწას" ასეულ კილომეტრებზე მოწყვეტილ დაშორებულ დაბებში მასალები, კონსტრუქციები, მოწყობილობა? ამ კითხვაზე მშენებლებმა უკვე გასცეს პასუხი. ბამის ცენტრალურ უბანთან.

ამურისპირეთის ჩრდილოეთ რაიონებში გაიელის მაგისტრალის თითქმის ნახევარი. ამ უკვე შეეჭმნა საკავშირო დამკვეთლური მშენებლობის ათზე მეტი საყრდენი პუნქტი. როგორ ძიებენთ „დიდ მიწას" ასეულ კილომეტრებზე მოწყვეტილ დაშორებულ დაბებში მასალები, კონსტრუქციები, მოწყობილობა? ამ კითხვაზე მშენებლებმა უკვე გასცეს პასუხი.

გაზაფხულზე, ვადაზე ხუთი თვით ადრე, დასავლეთ ნაწილში ამოქმედდა ბამ-ტინდის რკინიგზა, რომელმაც ტინდინსკიში გასაგზავნი ტვირთის ძირითადი ნაკადი იკისრა. ამის შემდეგ გაიხსნა ტრასა მდინარე ზეაზე. ბამისათვის საჭირო გახდა სვობოდნენსკის სამდინარო ნავსადგურის რეკონსტრუირება, მდინარის გასაღრმავებელი სამუშაოების განხორციელება.

და აი ახლა „დიდ მიწასთან" მყარი სატრანსპორტო კავშირი დაამყარა მშენებლობის კიდევ ერთმა დიდმნიშვნელოვანმა რაიონმა ვოსტორნიმ. მშენებლებმა განახორციელეს ამ არსებული შარაგზის რეკონსტრუქცია. სამუშაოთა უკანასკნელი ეტაპი გახდა მდინარე გორბიჩოჯზე ხიდის გაწყნა.

ბლაგოვეშჩენსკი.

(საკვლევი კორ.).

ვინც თავი ისახელა



30 წელია გიორგი ნანიტაშვილი თავდადებით შრომობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ამ ხნის მანძილზე იგი გახდა წარჩინებული მეტალურგი, დაიმსახურა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მისმა მდნობელთა ბრიგადამ ახლახან უპატაკა სამშობლოს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება. იგი წარმატებით დგას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. მდნობელებმა გადაწყვიტეს საბჭოთა კომუნისტების ფორუმის გახსნის დღეს შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის ორი თვის გეგმა.

გ. ნანიტაშვილი ბევრ დროს ახმარს საზოგადოებრივ მუშაობას. იგი ქარხნის საბინაო-კომუნალური კომისიის თავმჯდომარეა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხარეგიზონო კომისიის წევრია.

სურათზე: გ. ნანიტაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

საფრანგეთის პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში გაემგზავრა

18 ოქტომბერს მოსკოვიდან ნაშუადღევს რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ' ესტენი მეუღლითურთ, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საფრანგეთისა და სსრ კავშირის საზელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ვ. ჟისკარ დ' ესტენი გაეცალეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მთელ გზაზე კრემლის რეზიდენციიდან აეროდრომამდე დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე მოსკოველები გულთბილად მიესალმებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ' ესტენსა და საბჭოთა ხელმძღვანელებს.

საფრანგეთ მოედანზე ჩამწკრივდა ხაში გვარეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითი ჯარისკაცების, მფრინავების, მეზღვაურებს სპატიო ყარაული. სპატიო ყარაულის უფროსმა უბატაკა ვ. ჟისკარ დ' ესტენს. შესრულდა საფრანგეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ვალერი ჟისკარ დ' ესტენმა ნამოუარეს სპატიო ყარაულის მწყობრს. დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც აეროდრომზე იყვნენ, მიესალმნენ ლ. ი. ბრეჟნევსა და ვ. ჟისკარ დ' ესტენს, საფრანგეთის რესპუბლიკის მეთაურს, სხვა ფრანგ სტუმრებს მიესალმენ ყვავილები.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო თვითმფრინავის კიბესთან გამოეშვიდობნენ ვ. ჟისკარ დ' ესტენსა და მის მეუღლეს, პრეზიდენტის თანმხლებ საფრანგეთის საზელმწიფო მოღვაწეებს.

გაცილების საზეიმო ცერემონია დამთავრდა სპატიო ყარაულის ნავლით.

სპატიო სტუმართან ერთად ნაშუადღევს გაემგზავრნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან სოვანიარგი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ჟან-პიერ ფურკადი, მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრი მიშელ დ' ორნანო, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკვლევი).

გერლინში, მსოფლიო კონგრესზე

17 ოქტომბერს მოსკოვიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. კონგრესის დელეგატებს შორის არიან ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული მშრომელები, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

ამავე მატარებლით ბერლინში გაემგზავრნენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციები, რომლებიც მსოფლიო კონგრესზე მიდიან მოსკოვის გავლით.

დიგაინის ფართო შესაძლებლობანი

ახლახან მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მხატვრული კონსტრუირების ორგანიზაციის საერთაშორისო საბჭოს IX კონგრესმა. მსოფლიოს თითქმის 40 ქვეყნის სპეციალისტებმა განიხილეს მხატვრული კონსტრუირების — დიზაინის და მეცნიერებისა და ტექნიკის მომიჯნავე დარგების აქტუალური პრობლემები. მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოწვია მოხსენებებმა მწარმოებელთა ძალების, ტექნიკური პროგრესის განვითარებაში, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებაში დიზაინის როლის, შესახებ. კონგრესის მონაწილეებმა განიხილეს ადამიანის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის დარგში თანამედროვე დიზაინის შესაძლებლობანი.

კვების მრეწველობის მუშაკთა დღესასწაული

მოსკოვი

17 ოქტომბერს მოსკოვში ცენტრალურ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს. პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ს. ფ. ანტონოვმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად ჩიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკვლევი კორ.).

თბილისი

17 ოქტომბერს თბილისში გაიმართა კვების მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. საღამოზე შეიკრიბნენ კვების, ხორცისა და რძის ინდუსტრიის მშრომელები, ამ დარგების საწარმოთა მშენებლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ე. გორთლიშვილმა.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა გ. დუჩიძემ.

შეკრებილთ მიესალმნენ ქუთაისის რძის კომბინატის დირექტორი რ. კახაძე, საწარმოო გაერთიანება „თბილისელეგის" გენერალური დირექტორი თ. ლომაძე, გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშა ე. ომელაშვილი, თბილისის ხორცკომბინატის მუშა ვ. სუხოროუკოვი და სხვ. (საინფორმო).

სად რამდენი მოიკრიფა

(18 ოქტომბრისათვის)

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	80.136
თელავი	45.000	42.581
ყვარელი	29.000	24.769
სიღნაღი	24.485	30.535
ახმეტა	23.000	26.307
საგარეჯო	20.000	16.900
წითელწყაროო	19.000	16.244
ლაგოდეხი	5.500	9.198
მარნეული	15.860	16.078
გარდაბანი	9.200	8.205
მცხეთა	10.000	8.678
კასპი	9.350	5.511
გოლნისი	8.925	8.925
ზესტაფონი	26.850	17.714
თერჯოლა	18.100	14.482
მაიაკოვსკი	14.300	12.287
ვანი	14.100	11.017
საჩხერე	5.450	4.127
ორჯონიკიძე	5.350	3.601
გორი	4.450	4.303
ხაშური	5.570	3.216
ჭიათურა	2.200	1.315
წალენჯიხა	1.285	560
სამტრედია	1.560	1.401
ჩხოროწყუ	1.010	751
ამბროლაური	3.000	2.300
თეთრი წყაროო	1.200	1.147
დუშეთი	1.900	1.201
წყალტუბო	4.200	1.841
ცაგერი	3.550	1.990
გეგეჭკორი	2.200	1.143
ზუგდიდი	1.670	1.301
სამხრეთ ოსეთი	1.020	540
ცხაკაია	910	568
წულუკიძე	660	340
ქარელი	725	340
ჩოხატაური	2.020	1.990
მახარაძე	500	499
ახალციხე	45	57
ტყიბული	270	217
ლანჩხუთი	70	64
ონი	320	42
აფხაზეთის ასსრ	7.920	6.735
აჭარის ასსრ	1.500	1.224
სულ მოკრეფილია		390.143

როგორც ცხრილიდან ჩანს, რთველი წარმატებით დაამთავრეს, ყურძნის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს ბურჯაანის, სიღნაღის, ახმეტის, მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონებმა, ნაყოფიერად იმუშავეს და გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს თელავის, ყვარლის, წითელწყაროს, საგარეჯოს და გოლნისის რაიონებმა.

ამჟამად რთველი გაჩაღებულია ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

მევენახეებო, ნაყოფიერად გამოვიყენოთ ყოველი დღე, ყოველი საათი, ვკრიფოთ ყურძენი დროულად და უდანაკარგოდ.

19 ოქტომბერი კვების მრეწველობის მუშაკის დღეა

კვების მრეწველობის მოგავალი

კვების მრეწველობის მუშაკები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავენ იმ პერიოდში, როცა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტთა დიდი ფორუმის ღასანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში კარგი შედეგები მოიპოვეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა. პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 66 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია ბრიმის ნაყოფიერების გაღიღების გზით.

ხუთწლედის განვლილ 4 წელიწადსა და 9 თვეში სისტემის საწარმოებში მრავალი სიახლე გაჩნორციელდა. დანერგილია 151 მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზი, 240 მაღალი წარმადობის მოწყობილობა და დანადგარი, განხორციელდა დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო საშუშაოთა მექანიზაციის 50-ზე მეტი ღონისძიება, 120 საწარმოში დანერგილია მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები. ყველა ამ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტიანობა 14 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო ვამოთავისუფლებულია 2 ათასამდე კაცი.

ჩაის მრეწველობის სპეციალისტების ინიციატივითა და საკავლევი ინსტიტუტების დახმარებით ფაბრიკებში მრავალი სიახლე ინერგება. ამჟამად მექანიზებულია 32 ცენტრალური და 270 პერიფერიული პუნქტი. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ხელით შრომა და გაუმჯობესა ჩაის ფოთლის მიღების ორგანიზაცია. პოდერნიზაცია გაუკეთდა ჩაის სახმობ ღუმელებს, რამაც წარმადობა დაახლოებით 2-ჯერ გაზარდა და მრეწველობას 2 მილიონ მანეთამდე ეკონომია მისცა.

დღითიდღე იზრდება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე მეღვინეობაში. ღოეთისათვის 2.000-ზე მეტი მანქანა შუშაობს ყურძნის გადასაზიდად, რითაც ყურძნის ტრანსპორტირება მთლიანად მექანიზებულია. ღვინის ქარხნებში დანერგილია ყურძნის სიწკის ამღები ხელსაწყოები შაქრიანობის განსაზღვრისათვის. მიმდინარე ხუთწლედში პირველად მეღვინეობაში დაინერგა 70 ყურძნის გადამუშავებელი ხაზი, რომელთა წარმადობა საათში 20 და 30 ტონაა.

ფართოდება ფქვილის უტაროდ გადაზიდვის, მიღებისა და შენახვის მეთოდი, რომელიც გარდა იმისა, რომ შუშას ათავისუფლებს მძიმე ხელით შრომისაგან, დიდ ეკონომიურ ეფექტს სხამელი ქარხანა აღჭურვილია ავტომატური ჩამომსხმელი ხაზებით.

ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ბორჯომის საწარმოო გაერთიანებამ, საიდაც დაბალი წარმადობის ჩამომსხმელი ხაზები მთლიანად შეიცვალა ახალი, მაღალი წარმადობის ხაზებით. თვითეული ხაზის წარმადობა შეადგენს 30 ათას ბოთლს საათში.

საკონსერვო ქარხნებში ტექნიკური დონის ამაღლებისათვის მრავალი სამუშაო ჩატარდა, მოძველებული წნეხები შეიცვალა უფრო მძლავრი ჰიდრავლიკური წნეხებით. სოხუმის, ქუთაისის, გინთიადის, გორდაბნის, თამარისის, სამტრედიის საკონსერვო ქარხნებში დადგა ტომატ-პასტის გადამუშავებელი ავტომატური ხაზები.

კვების მრეწველობის სამინისტროს კოლექტივი, ებრძვის რა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს. მომდინარე ხუთწლედში ათვისებულ და გამოშვებულ იქნა 55 დასახელების ახალი სახის პროდუქცია. დღეისათვის ნაწარმის 47 სახეს მიღებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულეს, რეალიზაციისა — 108,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 13,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის შუშაკები, რომლებიც დგანან სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ალსანიშნავ შრომითს ვახტზე, იმისათვის ებრძვიან, რომ ვადამდე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა და ახალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ კომუნისტთა დიდ ფორუმს.

ზ. ჯამასპიშვილი.

ბორჯომი. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის ალსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, ვადაზე ადრე გაანალდა მეცხრე ხუთწლედის გეგმა.

ხაშურში: საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ მთავარი ქარხნის ბოთლების მეეტიკეტე მანანა მახარობლიშვილი. იგი ეოველდღე დიდი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს.

ჯ. ნერკასოვის ფოტო.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

კრებაზე და კრების შემდეგ

ციხელეჯაროს რაიონული საავადმყოფოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება არც თუ ცუდად ჩატარდა. კამათში გამოსულმა კომუნისტებმა მთელი პირდაპირობით ამხილეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. კრიტიკის ზუსტი მისამართი ჰქონდა, ასახელებდნენ ფაქტებს, იმათ გვარებს, ვინც კეთილსინდისიერად არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას, პარტიულ დავალებას. ყოველივე ეს იმის შედეგიც იყო, რომ თვით პარტბიუროს მდივანმა ვ. პოპიაშვილმა კრიტიკული, საქმიანი მოხსენება გააკეთა.

კრებაზე სიტყვა ითხოვა კომუნისტმა რ. ერაძემ.

— სიტყვის ფასი მაშინ აქვს, ო	ა მას უსმენენ, — თქვა მან. ჭართული სიბრძნეც ბრძ ამას ამბობს: „კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო“. ამას წინათ პარტიულ კრებაზე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ საავადმყოფოში მისასვლელი გზა ავარიულ მდგომარეობაშია. გზას ვამბობ, თორემ რა გზაა; ხ�ი, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდს უფრო ჰგავს. ორმოებს მანქანას ვერ ააცილებ, მძიმე ავადმყოფის გადაყვანა ამ გზაზე შეუძლებელი ხდება.

რ. ერაძეს ბევრმა დაუჭირა შობრი. საერთო უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქალაქის საბჭო, კერძოდ, მისი კომუნალური მეურნეობა, სარემონტო უბანი ყურადაც არ იღებენ მშრომელთა მრავალგზის თხოვნას საავადმყოფოს გზის შეკეთებაზე, ეზოს დასუფთავებაზე, კანალიზაციის მოწესრიგებაზე.

კომუნისტთა გამოსვლები, ხეშმიანი წინადადებები ერთხელ კიდევ აისახა კრების დადგენილებაში, მაგრამ... ჩანს, ზოგიერთს ავიწყდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო.

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ ორ კვირაზე მეტი გავიდა, მდგომარეობა კი უცვლელია, საქმის დასაწყისი არ ჩანს.

მართლაც, რა ფასი აქვს ასეთ თქმას, ასეთ კრიტიკას?! კომუნისტთა ყოველ სამართლიან შენიშვნასა და წინადადებას სათანადო გულისხმიერება სჭირდება.

ვლ. მჟელიშვილი,
„კომუნისტის“ პას. კორ.

სამეცნიერო კონფერენცია

17 ოქტომბერს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ გაიმართა საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და „ბილისი და იფრიკის ქვეყნების „სოლიდარობის საქართველოს კომიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ პოეტმა ი. ნონეშვილმა.

მოხსენება „ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის შედეგები და მშვიდობის დაცვის მოძრაობის „ახალი ეტაპი“ გააკეთა საქმეთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგემ ნ. კიკვიძემ.

დასკვნითი აქტი, რომელიც ერთხმად მიიღო ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის ყველა დელეგაციამ, აღნიშნა მომხსენებელმა, მარტო ევროპისა კი არა, მთელი მსოფლიოს მყარი მშვიდობის საწინდარია. წარმატებით დამთავრებული თათბირის შედეგებმა დამაჯერებლად დაადასტურა სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამის ქმედითობა, ლენინური პოლიტიკის გამარჯვება.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე ვ. მაჭავარიანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი დ. თორაძე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომრის მოადგილეები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. წერეთელი და დოცენტი ს. ცინცაძე, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სრულიად ევროპის თათბირის შედეგებს მზარი დაუჭირეს ევროპისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის მოელმა მშვიდობისმოყვარე პროგრესულმა ძალებმა. ეს წინაპირობებს უქმნის სახელმწიფოთა ურთიერთობის უფრო აქტიურ მრავალმხრივ განვითარებას მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მჯღაბნველები

რედაქციას უპასუხებს პარტიის ლენინურობის რაიკომი

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში — „მჯღაბნელები“ — მხილებული იყვნენ ცილისმწამებლები. წერილის გამო პარტიის ლენინურობის რაიკომის პირველი მდივანი ო. ლლონტი რედაქციას წერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში — „მჯღაბნელები“ — მოყვანილი ფაქტები მთლიანად შეესაბამება სინამდვილეს.

ანონიმური წერილის ავტორს — შუხუთის კოლმეურნეობის მეტყევე აგრონომ ხ. ჭანთარიას საქმე გადაეცა რაიონის პროკურატურას მისი ხისლის ხამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

ცილისმწამებლური წერილების ავტორი ვ. ციხაძე ღრმა მობუცებულობის გამო არ იქნა მიცემული ხისლის ხამართლის პასუხისგებაში, მაგრამ რაიონის პროკურატურამ მკაცრად გააფრთხილა.

ქალაქის ბაღის კოოპერატივის გამგე-გამყიდველს მ. ცინცაძეს ფასდამბინჯებისა და კოოპერატივში ხამუშაოდ მეულლის — ვ. ცინცაძის გაუფორმებლად დაშვებისათვის რაიკოოპერატივის გამგეობამ გამოუცხადა ხასტიკი საყვედური და გააფრთხილა, რომ ანალოგიური დარღვევების გამოვლინების შემთხვევაში მის მიმართ უფრო მკაცრ ზომებს იხმარს.

1905 წლის ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის 70 წლისთავისადმი

ისტორიის უდიდესი დღეები

რუსეთის პირველი რევოლუცია იყო ისტორიაში პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, სახალხო რევოლუცია, რომელშიც პროლეტარიატი გამოდიოდა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, ჩაგრული მასების ბელადი. მან კლასობრივი ბრძოლის მსოფლიო ისტორიაში გაამდიდრა საბრძოლო გამოცდილების ნრავალფეროვნებით, ბრძოლის ახალი ფორმებისა და ტაქტიკური ხერხების სიმრავლით, გამოავლინა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების, როგორც შეიარაღებული აჯანყებისაკენ ეტაპის მნიშვნელობა, რუსეთის მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასები გამოთავიდა პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლისათვის.

1905 წლის ოქტომბრის დღეები, როცა იფეთქა სრულიად რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ისტორიაში დარჩება, რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს დღეებად. სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვის დამწყებად გამოვიდნენ მოსკოვის მუშები. დაიწყო მოსკოვის მბეჭდავი მუშების გაფიცვა. მან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ ქვეყანაში. მთელ რიგ ქალაქებში მბეჭდავი მუშები გაიფიცნენ და, ამრიგად, ერთი პროფესიის მუშების საყოველთაო გაფიცვა გაგრცელდა მთელ ქვეყანაში.

6 ოქტომბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეცხადებინათ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოსკოვში და მოსკოვის რკინიგზის მუშებს მომართა სპეციალური მოწოდებით, რომ შეერთებოდნენ მოსკოვის პროლეტარიატის გაფიცვას.

7 ოქტომბერს დაიწყო გაფიცვა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზაზე. იმავე დღეს გაფიცულებს შეუერთდნენ იაროსლავლის და კურსკის რკინიგზის და ვეიბელდბოკოტის, დამფუძნებელ კრების მოწვევისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების ლოზუნგებით.

ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვის დღეებში, რომელიც უკვე უალოდ ბდებოდა აჯანყებას, ხოლო ზოგიერთ ადგილას გადადიოდა აჯანყებაში, მუშათა მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ წარმოშვა ძალიან იარაღი, უმაგალითო პოლიტიკური ორგანიზაციები — მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც „წარმოიშვა საყოველთაო გაფიცვიდან, გაფიცვის გამო და გაფიცვის მიზნების გულისათვის“.

1905 წლის 13 (26) ოქტომბერს პეტერბურგში ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოების არჩევნები. ამის შემდეგ მუშათა დეპუტატების საბჭო ეწყობა მოსკოვში, ხოლო ოქტომბერ-დეკემბრის განმავლობაში მუშათა დეპუტატების საბჭოები შეიქმნა თითქმის ყველა მუშურ ცენტრში.

სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ დამაჯერებლად გვიჩვენა ბოლშევიკების პარტიის კავშირი ხალხის ფართო მასებთან და ბოლშევიკური ლოზუნგების სიცოცხლისუნარიანობა. ამას ადასტურებდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკებანი.

პროლეტარული მოძრაობის ძლიერებით თავზარაცემული მეფე იძულებული გახდა გამოეშვა 17 ოქტომბრის მანიფესტი. ოქტომბრის მანიფესტით მეფე ხალხს პპირდებოდა „სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძვლებს: პიროვნების ხამდვილ ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას“. ჰპირდებოდა, რომ მოწვეული იქნებოდა საკანონმდებლო სათათბირო, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემდა საზოგადოების ყველა კლასს.

რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია დიდი აღტაცებით შეხვდა მეფის მანიფესტს. მას ეგონა, რომ იგი მაგონილი იყო ფონს გასასვლელად, რევოლუციის წინააღმდეგ შეტევისათვის ძალების მოსაკრებად. ასევე აღტაცებით შეხვდნენ მანიფესტს მენშევიკები, რომლებიც მანიფესტს მეფის თვითმპყრობელობის სიკეთედ თვლიდნენ.

ლენინი და ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი იყო მახე, ხალხის მასების მოსატყუებლად გამოგონილი ხრიკი, რომ „მეფემ უნდოდა მიეძინებინა გულუბრყვილონი, მიეფო ზესვენება, მოეკრიბა ძალები და შემდეგ შეეტია რევოლუციისათვის. მართალია, მეფის მთავრობას ოქტომბრის გაფიცვამ ციხეებიდან გამოგლიჯა პროლეტარიატის ბევრი პოლტიკური მოოგაწე, პროლეტარიატმა ოქტომბრის დღეებში ძოიპოვა პრესის ნაწილობრივი თავისუფლება, უკან დაიხვინა მეფის მთავრობას, აიძულა წასულიყო დათმობაზე და გამოსულიყო მანიფესტით, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებდა მეფის თვითმპყრობელობის არსებობის შეწყვეტას.

რევოლუციაში მუშათა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების როლს რომ აფასებდა, ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთის რევოლუცია არის მსოფლიო ისტორიაში პირველი — მაგრამ, უეჭველია, ის იქნება არა უკანასკნელი, — დიდი რევოლუცია, რომელშიც მასობრივი პოლიტიკურმა გაფიცვამ შეასრულა არაჩვეულებრივად დიდი როლი“.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ მსოფლიოს უჩვენა ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების შეხამება, ამ უკანასკნელის გადაქცევა შეიარაღებულ აჯანყებად. ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ უშუალოდ მიიყვანა რუსეთის მუშათა კლასი რევოლუციური ბრძოლის უმაღლეს ფორმამდე — შეიარაღებულ აჯანყებამდე.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „რევოლუციის პირველი გამარჯვება“, რომელიც დაწერა 19 ოქტომბერს, აღნიშნავდა, რომ „მეფის დათმობა მართლაც რევოლუციის უდიდესი გამარჯვებაა, მაგრამ ეს გამარჯვება ჯერ კიდევ ოდნავაც არ წყვეტს თავისუფლების მთელი საქმის ბედს. მეფეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ დაუყოია იარაღი. თვითმპყრობელობას ჯერ სულაც არ შეუწყვეტია არსებობა. მან მხოლოდ უკან დაიხია, მტერს დაუთმო ბრძოლის ველი, უკან დაიხია მტლისმეტად სერიოზულ ბრძოლაში, მაგრამ ის ჯერ სულაც არ არის დამარცხებული, ის კიდევ ძალებს იკრებს, და რევოლუციურმა ხალხმა მრავალი უღრესად სერიოზული საბრძოლო ამოცანა უნდა გადაწყვიტოს, რათა რევოლუცია ნამდვილ და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს“.

მანიფესტი მოასწავებდა, — მიუთითებდა ლენინი, — ძალების გაწონასწორებას, როცა პროლეტარიატმა და გლეხობამ გამოგლიჯეს მეფეს დათმობა მანიფესტის სახით, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შესწევთ ძალა დაამხონ ცარიზმი, ხოლო ცარიზმს არ შეუძლია მართოს წინანდებურად და იგი იძულებულია სტაფეიერად დაპპირდეს ხალხს „სამოქალაქო თავისუფლებები“ და „საკანონმდებლო“ სათათბირო. ვ. ი. „რევოლუციის ისეთ მომენტამდე მივიდა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — როცა კონტრრევოლუციისათვის თავდასხმა, შეტევა ხელსაყრელი არაა“.

ბოლოს ლენინი ამბობდა, „ეს მომენტი ალბათ ადრე ან გვიან, ალბათ ერთ-ორ თვეში, ალბათ ერთ-ორ კვირაში, ალბათ ამ ერთ-ორ დღეში, 18 ოქტომბერს პეტერბურგში გამოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მანიფესტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პროლეტარიატის ბრძოლა სრულებით არ წყდება მეფის მანიფესტის გამოცემით. ამჟამად პროლეტარიატის ტაქტიკა უნდა იყოს: პროლეტარიატის დარტყმების ზეგავლენით ბოძებულ უფლებათა გამოყენება, გაფიცვების განკრძობა, მილიციის მოწყობა რევოლუციურ უფლებათა დასაცავად, სრული ამნისტიის მოთხოვნა.

როგორც მენშევიკები საერთოდ, ასევე ქართველი მენშევიკები დიდი აღტაცებით შეხვდნენ მეფის მანიფესტს. მანიფესტის გამოცხადების დღეს თბილისში გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ ქართველი მენშევიკების ლიდერები: ეორდანია, რამიშვილი და სხვ., რომლებმაც სადღესასწაულო კილოთი განაცხადეს: „ამიერიდან თვითმპყრობელობა აღარ არსებობს. თვითმპყრობელობა მოკვდა, რუსეთი შედის კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოთა რიგებში“. და ეს მათ უარყვეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საჭიროება, წამოიყენეს მუშათა კლასის განიარაღების ლოზუნგი. იმავე დროს მანიფესტის გამოცხადების დღეს თბილისში (ნაძალადევში) მუშათა მიტინგზე, საქართველოს ბოლშევიკებმა ამხილეს ქართველი მენშევიკები, როგორც რევოლუციის, თავისუფლებისა და ხალხის მტრები, მასებს მოუწოდეს შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

მანიფესტის გამოცემის მეორე დღეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი ბროშურა-მიკი-მოწოდება „ყველა მუშას“, სადაც მეფის მანიფესტი შეფასებულია როგორც მეფის ფარისევლური დაპირება, დასახულია მეფის მთავრობის დამხობისა და ეუმოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის ამოცანები.

იმრიგად, ლენინის, ბოლშევიკების ენინალური დასკვნები საუცხოოდ დადასტურა მოვლენების განვითარებამ, მანიფესტით „ბოძებული“ დათმობა მხოლოდ მორჩენება, თვალის ახვეევა გამოდგა.

მეფის მთავრობამ რევოლუციისათვის ინგარიშის გასწორების მიზნით მოიწყო ბანდიტური პოლიციური ორგანიზაციები: „რუსი ხალხის კავშირი“ და „მიხეილ მთავარანგელოზის კავშირი“. ეს შავრაზმული ორგანიზაციები ხოცვა-ჟლეტას, დარბევას და გაუგონარ მხეცობას სჩადიოდნენ. გაბატონდა თეთრი ტერორი. ხვრეტნენ მას, ვინც გაბედავდა შავრაზმებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ასე მოიქცნენ ასინი თბილისსა, როცა 22 ოქტომბერს თბილისის ქუჩებში მოაწყეს შავრაზმელთა მანიფესტაცია, რომელსაც მოჰყვა შეტაკებანი და სასლისაცვრი. დახოცეს უდანაშაულო მოსახლეობა, მოწყვეტა, ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობისათვის პოლიცია ფეხზე აყენებდა და რაზმავდა კაპიტალისტური საზოგადოების ნაბოლარებს, ხალხს მასებს გათიშვის მიზნით აწყობდა ებრაელთა რბევას, სხვადასხვა ეროვნების მუშების ურთიერთწინააღმდეგობას.

შავი რაზმების ამ თარეშთან ერთად მკაფიოდ იჩენდა თავს პროლეტარიატის ახალი იერიში, რომელიც ძალებს იკრებდა და გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. მასებში. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები ფასოდ ფანტავდა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშები და გლეხები ემზადებოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის. ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, — წერდა ლენინი, — თქვენ მარტონაროდი ხართ, მთელი რუსეთის მუშები და გლეხები! და თუ თქვენ შეძლებთ დაამხოთ, ბოლოს მოიღოთ და მოსპოთ ბატონყმური, პოლიციური, მემამულეური და მეფის რუსეთის ტირანები, თქვენი გამარჯვება სიგნალი გახდება მსოფლიო ბრძოლისა კაპიტალის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისა მშრომელთა სრულიად არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის კაცობრიობის განთავისუფლებისა და სოციალისტური ბრძოლისა“.

გამართლდა დიდი ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება. 1905 წელს რუსეთის მუშებისა და გლეხების ბრძოლები გენერალური რეპეტიცია გახდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისათვის. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის თებერვალში დამხეს ბატონყმური, პოლიციური, მემამულეური ტირანია, ხოლო 1917 წელს კაპიტალისტთა ტირანიაც რუსეთში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის განვითარებაში. ოქტომბრის ძლეგამოსილი ლრიშით ჩვენს ქვეყანაში აშენდა განვითარებული სოციალიზმი, შენდება კომუნიზმი, შეიქმნა ძლეიერება და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

რევოლუციაში რუსეთის პროლეტარიატის გამოცდილება წარმოადგენს დიადი საბრძოლო გამოცდილების წყაროს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, რომლის წინაშე დგას ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ამოცანები, დემოკრატიის, სოციალიზმისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ამოცანები.

ი. მირცხულავა,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საპატიო ფოდეგების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებულებით ნავთობის ძიებისა და მოპოვების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

არჯევანიძეს გურამ შალვას-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს.

თევზაძეს რევაზ ნიკოლოზის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ გენერალურ დირექტორს.

ტალიაშვილს სტეფანე ზაქარიას-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ თემატური პარტიის უფროსს.

ჭალიაძეს ნოდარ გრიგოლის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ თბილისის პირეთის ღრმა ბურღვითი ძიების უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის:

ბეჟუიაშვილს ალრლ მიხეილის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ თემატური პარტიის უფროს გეოლოგს.

ზირაქაძეს მიხეილ ილიას-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის კოლეთის თემატური პარტიის უფროსს.

მერგველაძეს ბარანგიზ ილიას-ძეს — ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ სეისმურ-საზვერავი პარტიის უფროსს.

ნემსაძეს მერი ალექსანდრეს ასულს — ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ სეისმურ-საზვერავი პარტიის უფროს გეოფიზიკოსს.

ნიკურაძეს გიორგი ნესტორის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ გეოლოგიური განყოფილების უფროსს.

პაპავას დიტო იუსტინეს-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის მთავარ გეოლოგს.

ხანაძეს გურამ ივანეს-ძეს — ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ მმართველს.

ფრანგულაშვილს ვერიკო მელიტონის ასულს — ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ თემატური პარტიის უფროსს.

შენგელიას მიხეილ ივანეს-ძეს — ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ მთავარ გეოლოგს.

ჭიჭილეიშვილს ნოდარ ალექსანდრეს-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ ჭაბურღილების საცდელ-სადაზვერვო კანტორის მთავარ გეოლოგს.

ხარატაშვილს მიხეილ ალექსის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:

დავიდიანს არმაის მკრტიჩის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ ოსტატს.

იაკობიძეს ალექსანდრე ლავრენტის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ ჭაბურღილების საცდელ-სადაზვერვო კანტორის № 2 უბნის მბურღავს.

ილინს ნიკოლოზ ანდრიას-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ ჭაბურღილების საცდელ-სადაზვერვო კანტორის უფროს მექანიკოსს.

კარეანოვს პავლე სიმონის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ წითელწყაროს ბურღვის კანტორის ხარატს.

ლეონიშვილს ეასონ ალექსანდრეს-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ ჭაბურღილების საცდელ-სადაზვერვო კანტორის სამაქრის უფროსს.

მაქსიმენკოს ვიქტორ გრიგოლის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ ჭაბურღილების საცდელ-სადაზვერვო კანტორის № 3 უბნის მოტორისტს.

მახარაშვილს ივანე ზაქარიას-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ თბილისის პირეთის ღრმა ბურღვითი ძიების მბურღავს.

ხაგოიანს გრიგოლ იესის-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნავთის“ თბილისის პირეთის ღრმა ბურღვითი ძიების უფროს ბურღვის ოსტატს.

მართვის ავტომატიკა

მაგნიტოფონების, მაცივრებისა და სხვა ხელსაწყოებისათვის

თბილისში დამთავრდა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ციფრ სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიური პროცესების შუამავლებისა და მათი წარმოებისათვის მოწყობილობის შექმნის საკითხებზე. სამი დღის განმავლობაში მოისმინეს 60-ზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია.

ქარხნებში, აღინიშნა კონფერენციაზე, ფართოდება წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენება. ერთი ასეთი სისტემა, რომელიც შეიმუშავეს ცენტრ სამძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის სპეციალისტებმა, ინერგება თბილისის ქარხანა „მაკროძრავაში“.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲮᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

განიხილავენ სტანდარტიზაციის პროგლემებს

□

ბლო და სხვა დარგების მზა ნაწარმის ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათი დეტალების ზედაპირის მდგომარეობაზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საბჭოთა ლუღგაციის ხელმძღვანელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ლუკიანოვმა. — სხლომაზე ვიხილავთ ზედაპირების ხარისხის სტანდარტიზაციის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირში შემუშავებული სიმკვეთლის ტერმინოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის შეიქმნას ერთიანი ტექნიკური ლექსიკონი, უნდა განვიხილოთ სხვადასხვა დეტალების სიმკვეთლის კონტროლის სტანდარტიზაციის საკითხები ნარმოების პროცესში და მთელი რიგი სხვა თეზისები. სხლომაზე განსახილველი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სპეციალისტთა კოოპერაციი აქტუალურია მსოფლიოს ყველა ქვეყანისთვის.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠ

საფრანგეთის პრეზიდენტის პრეს-კონფერენცია

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ'ესტენი 17 ოქტომბერს გამოვიდა მოსკოვში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე. მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირში მისი ოფიციალური ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკების შედეგების შესახებ და უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებზე.

ჩვენი მოლაპარაკება და საუბრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან, თქვა მან, ძალზე სასარგებლო და პოზიტიური იყო. ყველა საკითხი ჩვენ გულახდილად და ძალზე გულითად ვითარებაში განვიხილეთ. სამე. ეხებოდა იმას, რომ ჯერ-ლი იმუშავოს მიგვეცა ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობისთვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საერთო პროცესისათვის. სწორედ ამ სულისკვეთებით მიმდინარეობდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. როგორც ცხადყოფს მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტები, მიღწეულია შედეგები როგორც პოლიტიკურ, ისე სხვა დარგებში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის დონე უფრო ამაღლდა.

ვ. ჟისკარ დ'ესტენი ვრცლად შეეხო ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის / განვითარებას და აღნიშნა, რომ ამ თანამშრომლობამ ფართო მასშტაბს მიაღწია და მის წინაშე დასახულია შემდგომი ზრდის პერსპექტივები.

ვ. ჟისკარ დ'ესტენი თქვა ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალური ვიზიტით მივიწვიე საფრანგეთში და იგი დათანხმდა ამ მოწვევასო.

პრეზიდენტმა განაცხადა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვიზიტებ აზრთა გაზიარებას ამასწინანდელი სრულიად ევროპის თათბირის დასკვნითი აქტის დებულებათა კონკრეტული განხორციელების შესახებო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი შეხვედრა ლ. ი. ბრეჟნევთან საბჭოთა კავშირისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნის ხელმძღვანელთა პირველი შეხვედრაა უმაღლეს დონეზე ჰელსინკის თათბირის შემდეგ.

ჩვენ აღენიშნეთ, განაგრძო მან, რომ საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის ფართო ურთიერთგაგება არსებობს და მათი პოზიციები მთელ რიგ მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე უახლოვდება ან ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან დაკავშირებით მან დასახელა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, კვიპროსში, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში.

ვ. ჟისკარ დ. ესტენი ვრცლად შეეხო ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის / განვითარებას და აღნიშნა, რომ ამ თანამშრომლობამ ფართო მასშტაბს მიაღწია და მის წინაშე დასახულია შემდგომი ზრდის პერსპექტივები.

ვ. ჟისკარ დ'ესტენის გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით

საფრანგეთის პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი 17 ოქტომბერს გამოვიდა ცენტრალური ტელევიზიით.

როგორც იცით, თქვა მან, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს მეგობრობისა და ნდობის ურთიერთობა, აგრეთვე აქტიური თანამშრომლობა ბევრ დარგში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები. მე მქონდა საამოვნება გასული წლის დეკემბერში საფრანგეთში გამეწია მასპინძლობა ბატონ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის, რომელიც სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა. თავის მხრივ, ბატონმა ბრეჟნევმა მომიწვია საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად, და ასეც მოვიქეცი, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცა.

გასული წლის დეკემბერში, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, გადაწყვეტილი არა მარტო შეგვეხარჩუნებინა ჩვეი ურთიერთობა, არამედ აგრეთვე ყოველნაირად გაგვიღრმავებინა და გაგვეთვალისწინებინა იგი. მიიღინარე, 1975 წელს ჩვენ არა მარტო განვაგრძობდით მოლაპარაკებას პოლიტიკურ დარგში, არამედ აგრეთვე ერთად მოგაწერეთ ხელი ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების ჰელსინკის თათბირის დასკვნითს აქტს. ჩვენი ურთიერთობა აქტიურად ვითარდებოდა სხვა დარგებშიც. 1975 წელი რეკორდული გამოდგა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით.

ამ თანამშრომლობას ახალი შინაარსი და განვითარება მივანიჭეთ იმ შეთანხმებებით, რომელსაც ბატონმა ბრეჟნევმა და მე დღეს მოვაწერეთ ხელი.

ვიზიტის დროს, აღნიშნა შემდეგ ვ. ჟისკარ დ'ესტენმა, ძალზე მეგობრული და ვულითადი მასპინძლობა გამიწიეს. ჩემი მხრივ მეც მეგობრობისა და პატივისცემის ასეთსავე გრძნობებს განვიცდი საბჭოთა ხალხის მიმართ.

ჩემს ვიზიტს პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. თქვა შემდეგ ვ. ჟისკარ დ' ესტენმა. მან დაადასტურა, რომ ჩვენი საერთო ინტერესები მუდმივი ხასიათისაა. საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი ევროპის სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი საერთო აქვთ. უწინარეს ყოვლისა ორივე ქვეყანა დიდად აფასებს მშვიდობას. ჩვენ არა გვაქვს რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები ჩვენი მეზობლების მიმართ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპის საზღვრების სტაბილურობას და შეუვალობას. და ბოლოს, ჩვენ უარვყოფთ ძალის გამოყენებას საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის დროს. რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ჩემი არჩევის შემდეგ ყველა გადამწყვეტ მომენტში ვცდილობდი უწრუნველეყო გონივრულ გადაწყვეტილებათა ძიება. მაგალითად, სასეელმწიფოების, კერძოდ, დიდად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების, ეკონომიურ ურთიერთობები ვცდილობ კონფრონტაციის პრინციპების ნაცვლად დავამკვიდრო თანხმობის პრინციპები.

ჩემი ვიზიტის მეორე პოლიტიკური ასპექტი ის არის, რომ ცხადვყოთ: სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემა არ არის დაბრკოლება არც ხალხთა მეგობრული ურთიერთობისათვის და არც მათი აქტიური თანამშრომლობისათვის. საფრანგეთის პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ სხვაობის კონსტატაციის შედეგად ჩვენ გაგვიხდა უნდა მოგვეყოფოთ სხვაობას ერეს შორის. პატივისცემა სხვა ხალხებისა და მათი არჩევანისადმი აუცილებელია დაძაბულობის შეცირებისა და დაძაბულობის შენელების განვითარებისათვის.

ვ. ჟისკარ დ' ესტენი შეეხო თავის ვიზიტებს საბჭოთა კავშირში და თქვა: თქვენ მშვენიერი ქვეყანა გაქვთ და საკმაებთ ბუნებრივია, რომ იგი ძალიან გიყვართ, რომ მისთვის ებრძოდით. ჩვენი ორი ქვეყნისათვის მეგობრობა და თანამშრომლობა წესი უნდა გახდეს.

ვსარგებლობ რა შესაძლებლობით რომ მოსკოვში ვარ, მინდა გითხრათ, რომ მსურს ყოველნაირად განვავითარო ჩვენი თანამშრომლობა. სასარგებლო, უშუალო გულახდილმა და გულითადმა საუბრებმა ბატონ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან მოგვცეს შესაძლებლობა კიდევ უფრო აგებმაღლებინა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის დონე.

დასასრულ ვ. ჟისკარ დ' ესტენმა ფრანგი ხალხის სახელით, რომელიც გამოსატავს მეგობრულ გრძნობებს საბჭოთა ადამიანების მიმართ, ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვა თითოეულ საბჭოთა ადამიანს.

(საკდესი).

დიდმნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობისათვის ბრძოლაში

დამთავრდა ქალიშვილთა მსოფლიო შეხვედრა

17 ოქტომბერს მოსკოვში დამთავრდა ქალიშვილთა მსოფლიო შეხვედრა. ეს ფორუმი ქალთა ახალგაზრდა თაობის დიდმნიშვნელოვანი წვლილი გახდა მშვიდობისათვის, თანამშრომლობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და განვითარებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ხალხთა საერთო ბრძოლაში. ხუთი დღის მანძილზე კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეხვედრის ფარგლებში მიმდინარეობდა ქალთა ახალგაზრდული მოძრაობის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

მსოფლიო ფორუმის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობის საქმეში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის.

საერთაშორისო კონფერენციის ერთსულოვნად მიღებულ საბოლოო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მსოფლიოს ქალიშვილებს სულ უფრო ეტად აახლოებს, თავისი სოციალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მზარდი გაგება, მათ შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა განაგრძონ ბრძოლა ანტიიმპერიალისტურ სოლიდარობის განმტკიცებისათვის, თავიანთი უფლებებისათვის.

საღამოს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საბჭოთა ახალგაზრდობის მიტინგი „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალიშვილთა მსოფლიო შეხვედრის დელეგატები. მიტინგზე გამოვიდნენ ახალგაზრდა მქსოველი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ზოია ივანოვა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ალ-ბერ ნეგრი, ჩილეს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გლადის მარინი, აგრეთვე კეტნამის, პალესტინის, პორტუგალიის, ანგოლის, კუბის, ლაოსის, პოლონეთის წარმომადგენლები.

მათ მოუწოდეს მსოფლიოს ახალგაზრდობას გაიერთიანონ ძალები დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისა და სოციალური პროგრესისთვის ხალხთა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის ქალიშვილებისადმი მსოფლიო შეხვედრის დელეგატთა მიმართვას.

საბჭოთა ახალგაზრდობის მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის, ჩვენი ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობის სახელით გაცხადდეს, რომ ერთსულოვნად იწონნენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ პოლიტიკას.

პლანეტის დემოკრატიულ ახალგაზრდობას, ხაზგასმულია რეზოლუციაში, თავის ბრძოლაში ყოველთვის შეუძლია იქონიოს ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო სოლიდარობისა და ყოველმხრივი მხარდაჭერის იმედი.

(საკდესი).

ბოლოდროინდელი

გულთბილი მიღება

სან-ფრანცისკო (ალიფორნიის შტატი). (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი ჩამოვიდნენ ქალაქ სან-ფრანცისკოში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს. კოსმოსური ექსპერიმენტში თავიანთი ამასწინანდელ კოლეგებს მოგზაურობაში ახლავან „აპოლონის“ ეკიპაჟის წევრები თ. სტაფორდი, დ. სლეიტონი და ვ. ბრანდი.

საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების პატივსაცემად ქალაქის მერმა ჯ. ალიოტომ დარბაზობა გამართა. საბჭოთა კოსმონავტების, ავრეთვე ჩამოსულ „აპოლონიდან“ მათი კოსმოსური ძმების ვიზიტი სან ფრანცისკოში უკანასკნელ წლებში ჩვენი ქალაქის ისტორიის მთავარი მოვლენაა, თქვა ჯ. ალიოტომ. კოსმონავტები ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ როგორც მთელი საბჭოთა ხალხის კეთილი ნების წარმომადგენლები, და ჩვენ გვსურს მათი სახით მივესალმოთ მთელ საბჭოთა კავშირს, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრებისათვის. ქალაქის მერმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ერთობლივი ვიზიტი სან-ფრანცისკოში, ისევე როგორც მათი ისტორიული შეპირპირება კოსმოსში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ორი დიდი ქვეყნის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარების საქმეში.

სან-ფრანცისკოში ჩამოსვლამდე საბჭოთა კოსმონავტები თავიანთ ამერიკელ კოლეგებთან ერთად ეწვივნენ ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის ცენტრალური საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და იუტის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

სტეიტ ლაინი (ნევადის შტატი). (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი განაგრძობენ მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. გუშინ ისინი ჩამოვიდნენ ნევადის შტატში.

პოუტა გუმეშის განკარგულება

ლისაბონი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პორტუგალიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა კოუტა გუმეშმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის შესაბამისად ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობამ 24 ოქტომბრამდე უნდა ჩააბაროს მთელი იარაღი, რომელიც აქვს.

განკარგულებაში ნათქვამია, რომ ოვეოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ პირებს, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში არ მსახურობენ, ბერძნული აქვთ იარაღის ტარება და შენახვა. ამ განკარგულების დარღვევისათვის გათვალისწინებულია 2-8 წლის პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმა.

კუბა გუმეშმა უბრძანა სამხედრო ხელისუფლებს მოძებნონ იარაღი, რომელიც ზოგიერთ ჯარის ნაწილიდან დაიკარგა, დაპატიმროს ის პირნი, რომლებიც ატარებენ ან ინახავენ იარაღს, და იარაღი გმოიყენონ მათ წინააღმდეგ, ვინც ესვრის მოსახლეობას, შეიარაღებულ ძალებსა და გასაბზდროებულ ნაწილებს.

□

მაოისტთა აღმაშფოთებელი გაბოხდომა

ნიუ-იორკი. (საკდესი). პეკინის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღმაშფოთებლად მიიქცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მმართო, რომელმაც ფრედერიკ ჟოლიო-კიურის სახელობის „მშვიდობის ოქროს მედალი“ გადასცა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის სპეციალურ კომიტეტს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელების საკითხებში (დეკოლონიზაციის კომიტეტი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამართულ საზეიმო სხდომაზე პეკინის დელეგატმა ტრიბუნა გამოიყენა მშვიდობის მსოფლიოს საბჭოსა და დეკოლონიზაციის კომიტეტის წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამოდგომებისათვის. მედლის გადაცემის დროს მაოისტურმა დელეგაციამ დატოვა სხდომათა დარბაზი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. ჩანდრამ საკადრისი პასუხი გასცა მაოისტის ცინიკურ გამოდგომას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი გამოსვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პეკინის ხელმძღვანელობამ პირი შეკრა კოლონიალიზმისა და ამპერიალიზმის ძალებთან.

პენტაგონის შმსგავსი საქციელი

ვაშინგტონი. (საკდესი). შეერთებული შტატების მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ფაქტი, რომ პენტაგონი 1972 წელს მოსწყლობდა ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიის კუნძულის მკვიდრი მოსახლეობის ძალადურად გადასახლებაში. როგორც ვიუწყებოდით, ამ კუნძულზე ამერიკის შეერთებული შტატები ქმნის თავის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზას. როგორც განაცხადეს სენატორებმა ე. კენედიმ და ჯ. კალეერმა, ამ აღიარებას შეიცავს მოსსენება, რომელიც საბჭოსწინა დეპარტამენტმა წარუდგინა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატს. მოხსენებაში დადასტურებულია, რომ კუნძულის „განთავისუფლება“ მცხოვრებლებისგან და მისი შემდგომი გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზისათვის გთვალისწინებული იყო საიდუმლო შეთანხმებით, რომელიც შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, რომელსაც კუნძული ეკუთვნის, ჯერ კიდევ 1966 წელს დადეს. სამაგიეროდ, აღნიშნულია დოკუმენტში, შეერთებულმა შტატებმა ინგლისს მისცეს 14 მილიონი დოლარი შეღავათი ამერიკული რაკეტა „პოლარისის“ შესაძენად.

პრეესაში დაბეჭდილმა ცნობებმა, რომ დიეგო-გარსიას მცხოვრებლები ძალადურად გარეკეს თავიანთი მიწა-წყლიდან, როგორც ცნობილია, გამოიწვიეს ამერიკის საზოგადოებრიობის მკვეთრი რეაგირება. მთელი რიგი კანონმდებლობა კონგრესში მოითხოვეს ამ საკითხის გამოძიება. სენატორმა რ. კლარკმა ბრალად დასდო პენტაგონს, რომ ბაზის მშენებლობისათვის ასიგნებათა მისაღებად წინასწარი განზრახვით შეიყვანა შეცდომაში კონგრესი და საზოგადოებრიობა, როცა ამტკიცებდა, დიეგო-გარსიას კუნძული „უკაცრიელია“. სენატორებმა ე. კენედიმ და ჯ. კალეერმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება ცხადყოს რამდენად უმსგავსია პენტაგონის მოქმედება. „ეს კიდევ ერთი კლასიკური მაგალითია იმისა, რომ სამხედრო მიზნებისათვის უხეშად თელავენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს“ თქვა ჯ. კალეერმა.

ჯ. კისინჯერის ვიზიტი ჩინეთის სასალხო რესპუბლიკაში

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი პეკინში გაფრინდა ოფიციალური ვიზიტით, რომელიც 23 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

18 ოქტომბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

□ **ულან-ბატორი.** აქ მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის მოძრაობის წარმომადგენელთა საკონსულტაციო თათბირმა. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სოციალისტური ქვეყნების მშვიდობის მებრძოლთა თანამშრომლობის განვითარებისა და მოქმედების კოორდინაციის საკითხები.

□ **ლისაბონი.** აქ ფიცი დადო პორტუგალიის მე-6 დროებითი მთავრობის თორმეტმა სახელმწიფო მდივანმა. რამდენიმე ხნის წინათ მოვალეობის შესრულებას შეუდგა 24 სახელმწიფო მდივანი. ამრიგად, მთლიანად დაკომპლექტებულია ამ კაბინეტის შემადგენლობა, რომელიც ერთი თვის წინათ შექმნა პრემიერ-მინისტრმა პინეიროუ დი აზევედომ. კაბინეტში შედის 15 მინისტრი და 36 სახელმწიფო მდივანი.

□ **ვაშინგტონი.** ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდება ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის“ მუშაკთა გაფიცვა. გაზეთის ორი ათასამდე თანამშრომელი — გრაფიორები, მბეჭდავები, მიმტანები მტკიცედ იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის.

ბაოლო იაშვილის დაბადების 80 წლისთავი

მგზავანი ჭეშმარიტი

დიდი მეხოტბე

ჩვენი ხუთკუნის გამოჩენილი პოეტი პაოლო იაშვილი დღეს ოთხმოცი წლისა იქნებოდა.

იგი ჩვენი დროის ღვიძლი შვილი იყო და მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში თავისებურად აღიბეჭდა ამ დროის ქარტეხილები. პოეტი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა; ჯერ კიდევ ბავშვი მოსწავლეთა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დაისაჯა და თავისი ლამაზი სიცოცხლეც ომის გამო დაახრულა ასე ნაადრევად, რომ გრიგალებისაგან თავის გარიდება და ჩრდილში ყოფნა არ უყვარდა.

პაოლო იაშვილი პოეტების ამ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც პირველი მხოფლიო ომის კვირაძალს მოვიდა ლიტერატურაში და ხუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობას განმაახლებლად მოევლინა.

იგი ამ თაობის მედროშე იყო, მისი პირველი მანიფესტების ავტორი და პირველი გამოსვლების ხელისჩამდგმელი.

ქართული მწერლობის ამ თაობის მშვენებანი იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი, ხერგო კლდიაშვილი და კოლაუ ნადირაძე, ალექსანდრე აბაშელი და კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ამ ნიჭიერმა თაობამ ქართული მწერლობა რუსეთისა და დასავლეთის ახალი ლიტერატურული მოძრაობის მონაწილე გახადა და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა.

პაოლო იაშვილისა და მისი თანამებრძოლი „ცისფერყანწელების“ შემოქმედებაში ბევრი რამ იყო მაშინ ხელოვნური, ბევრი რამ უცნო ხმების დაგვიანებულ გამოძახილად ისმოდა, მაგრამ როცა მაჭრობა გათავდა, დაღვინების ჟამი დადგა, ეს პოეტები მტკიცედ დადგნენ ეროვნულ ნიადაგზე და ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულებმა სრულიად ახალი სიტყვა თქვეს.

პაოლოსა და მის თაობას ამ შემოქმედებითს გადახალისებაში რევოლუცია დაეხმარა, ოქტომბერმა შემოაბრუნა ისინი ცხოვრების სინამდვილისაკენ და მათ შთაგონების ახალი მძლავრი ფრთა მისცა.

პაოლო იაშვილი ერთი პირველი ლოთაგანი მიესალმა ქვეყნის გარდამქმნელ ქარიშხლებს. იგი ახალი საბჭოთა საქართველოს მშენებელი და მომღერალი გახდა.

შენს ჯვაროსნობას ჩვენ
ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული,
მამ ავაფეთქოთ ახალ ნალმენით
ძველი ქვეყანა დასავსებული.

წერდა პაოლო იაშვილი და იგი დეკლარაციებით როდი შემოიფარგლა. მან ლექსების მთელი ციკლი შექმნა ახალი საქართველოს ენთუზიასტებზე — კოლხიდის დაშრობისათვის მოლაშქრეებზე და რიონჰესის მშენებლებზე.

ეს ლექსები დღესაც გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით და დიდებული მაგალითია ჩვენი დღეების პოეტებისათვის, რომლებმაც თავიანთი შთაგონების წყაროდ გაიხადეს ხუთწლედის ხარაჩოები და ჩვენი ქვეყნის მოწინავე მშენებლები.

თავად აპოლონისებური გარეგნობის პაოლოს პოეზიაშიც აპოლონური ხაწყისი იყო უმთავრესი და მისი შემოქმედება აღსავსეა ხიცოცხლის ხიყვარულით, მზითა და ნათელით.

პაოლო იაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში არის ახალი ქართული პოეზიის ნამდვილი შედევრები, ჭეშმარიტი პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები. დროის გამოცდამ დამტკიცა, რომ სწორედ ეს პოეზია, პაოლო იაშვილის ხულის ეს საუკეთესო ნაწილი უზრუნველყოფს პოეტის უკვდავებას.

ყველაფერს, რასაც პაოლო იაშვილი ხელს მოკიდებდა, ხელოვნებად აქცევდა. ხელოვნება იყო მისი თამადობა, ხელოვნება იყო მისი მეგობრობა.

მეგობრობის ამ ხელოვნებამ დაკავშირა ბალმონტის ხახელი რუსთაველთან და ჩვენი დროის საუკეთესო რუსი და უკრაინელი პოეტები სამუდამოდ დაამშობილა ახალ ქართულ პოეზიასთან.

პაოლო იაშვილმა დიდი როლი შეასრულა ახალი ქართული პოეზიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

სწორედ ახეთ პაოლო იაშვილს, მარად ცოცხალსა და შთაგონებულს, ჩვენი დროის ჩინებულ მომღერალს სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ეხსენიებს დღეს ჩვენი ხალხი.

გრიგოლ აბაშიძე.

ჩემო ქვეყანავ, დამსვი ჰოეტად,
შენი შრომის და მიწის საქებად,
და რაც კი ძალა მომეკოვება,
მინდა ლექსებით გადმოლაგება.

პაოლო იაშვილი

ოქრაბადს, 20 ოქტომბერს, ხაღამის 8 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართება **ბაბოლენილი ქართველი პოეტის პაოლო იაშვილის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სალამო.** ზეიმი გადაინაცვლებს 25 ოქტომბერს პოეტის მშობლიურ კუთხეში — სოფელ არგვეთში, სადაც გაიმართება მიტინგი, ხოლო საჩხერის კულტურის სახლში პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე სიტყვებით, მოგონებებით, ლექსების კითხვით გამოვლენ მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები.

ლეგენდად ქცეული პოეტი

ქართული პოეზიის დიდებულ პანთეონს ზემოიმერეთის შვილთა რამდენიმე სხივმოსილი სახე აშენებულა. ადრევე, თითქოს ყოველდღიურ სიდუხჭირის წყლ, ბუნებამ მარადიული განძი, პოეტური შთაგონება უბოძა მის მკვიდრთ. ერთი მათგანის, პაოლო იაშვილის წმინდა სახელს. დღეს, მისი დაბადების მე-80 წლისთავზე, დიდი სიყვარულითა და მოწიწებით წამორთვამს მადლიერი ქართველი ხალხი.

პაოლო იაშვილის გამო ამ დღეებში გამართულ ქართული პოეზიის ზეიმს, მოზღვავებულ სიხარულთან ერთად, ერთგვარი სევდის განწყობილებაც დაპკრავს, რადგან ტრაგიკული იყო ამ ჭეშმარიტი მამულიშვილისა და პოეტის ხვედრი, და ჩვენც, ერთ გარკვეულ ხანს, უნებლიეთ სმამღლა ვერ მივუზღეთ გულში დაგუბებული სიყვარული და აღტაცება. იქნებ ამიტომაც არის, რომ ახლა უფრო მეტი მონდომებით ვგვაღია გაგანდოთ ყველას ჩვენი გრძნობის მთელი ნიჭნფიელე და ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულებმა სრულიად ახალი სიტყვა თქვეს.

პაოლოსა და მის თაობას ამ შემოქმედებითს გადახალისებაში რევოლუცია დაეხმარა, ოქტომბერმა შემოაბრუნა ისინი ცხოვრების სინამდვილისაკენ და მათ შთაგონების ახალი მძლავრი ფრთა მისცა.

პაოლო იაშვილი ერთი პირველი ლოთაგანი მიესალმა ქვეყნის გარდამქმნელ ქარიშხლებს. იგი ახალი საბჭოთა საქართველოს მშენებელი და მომღერალი გახდა.

შენს ჯვაროსნობას ჩვენ
ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული,
მამ ავაფეთქოთ ახალ ნალმენით
ძველი ქვეყანა დასავსებული.

წერდა პაოლო იაშვილი და იგი დეკლარაციებით როდი შემოიფარგლა. მან ლექსების მთელი ციკლი შექმნა ახალი საქართველოს ენთუზიასტებზე — კოლხიდის დაშრობისათვის მოლაშქრეებზე და რიონჰესის მშენებლებზე.

ეს ლექსები დღესაც გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით და დიდებული მაგალითია ჩვენი დღეების პოეტებისათვის, რომლებმაც თავიანთი შთაგონების წყაროდ გაიხადეს ხუთწლედის ხარაჩოები და ჩვენი ქვეყნის მოწინავე მშენებლები.

თავად აპოლონისებური გარეგნობის პაოლოს პოეზიაშიც აპოლონური ხაწყისი იყო უმთავრესი და მისი შემოქმედება აღსავსეა სიცოცხლის ხიყვარულით, მზითა და ნათელით.

პაოლო იაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში არის ახალი ქართული პოეზიის ნამდვილი შედევრები, ჭეშმარიტი პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები. დროის გამოცდამ დამტკიცა, რომ სწორედ ეს პოეზია, პაოლო იაშვილის ხულის ეს საუკეთესო ნაწილი უზრუნველყოფს პოეტის უკვდავებას.

ყველაფერს, რასაც პაოლო იაშვილი ხელს მოკიდებდა, ხელოვნებად აქცევდა. ხელოვნება იყო მისი თამადობა, ხელოვნება იყო მისი მეგობრობა.

მეგობრობის ამ ხელოვნებამ დაკავშირა ბალმონტის ხახელი რუსთაველთან და ჩვენი დროის ხაუკეთესო რუსი და უკრაინელი პოეტები სამუდამოდ დაამშობილა ახალ ქართულ პოეზიასთან.

პაოლო იაშვილმა დიდი როლი შეასრულა ახალი ქართული პოეზიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

სწორედ ახეთ პაოლო იაშვილს, მარად ცოცხალსა და შთაგონებულს, ჩვენი დროის ჩინებულ მომღერალს სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ეხსენიებს დღეს ჩვენი ხალხი.

გრიგოლ აბაშიძე.

ქართული პოეზიის დიდებულ პანთეონს ზემოიმერეთის შვილთა რამდენიმე სხივმოსილი სახე აშენებულა. ადრევე, თითქოს ყოველდღიურ სიდუხჭირის წყლ, ბუნებამ მარადიული განძი, პოეტური შთაგონება უბოძა მის მკვიდრთ. ერთი მათგანის, პაოლო იაშვილის წმინდა სახელს. დღეს, მისი დაბადების მე-80 წლისთავზე, დიდი სიყვარულითა და მოწიწებით წამორთვამს მადლიერი ქართველი ხალხი.

პაოლო იაშვილის გამო ამ დღეებში გამართულ ქართული პოეზიის ზეიმს, მოზღვავებულ სიხარულთან ერთად, ერთგვარი სევდის განწყობილებაც დაპკრავს, რადგან ტრაგიკული იყო ამ ჭეშმარიტი მამულიშვილისა და პოეტის ხვედრი, და ჩვენც, ერთ გარკვეულ ხანს, უნებლიეთ სმამღლა ვერ მივუზღეთ გულში დაგუბებული სიყვარული და აღტაცება. იქნებ ამიტომაც არის, რომ ახლა უფრო მეტი მონდომებით ვგვაღია გაგანდოთ ყველას ჩვენი გრძნობის მთელი ნიჭნფიელე და ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულებმა სრულიად ახალი სიტყვა თქვეს.

პაოლოსა და მის თაობას ამ შემოქმედებითს გადახალისებაში რევოლუცია დაეხმარა, ოქტომბერმა შემოაბრუნა ისინი ცხოვრების სინამდვილისაკენ და მათ შთაგონების ახალი მძლავრი ფრთა მისცა.

პაოლო იაშვილი ერთი პირველი ლოთაგანი მიესალმა ქვეყნის გარდამქმნელ ქარიშხლებს. იგი ახალი საბჭოთა საქართველოს მშენებელი და მომღერალი გახდა.

შენს ჯვაროსნობას ჩვენ
ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავს

იწყება დიდი მატჩი

ხვალ ბიჭვინთაში იწყება ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს პირველობისა

გაფრინდაშვილი-ალექსანდრია

თამაშების განრიგი

ბიჭვინთა — (საკურორტო დარბაზი).

თამაშის დღეები: 21, 23, 25, 28, 30 ოქტომბერი, 1, 4, 6 ნოემბერი.

დამთავრების დღეები: 22, 24, 26, 29, 31 ოქტომბერი, 2, 5, 7 ნოემბერი.

თბილისი — (ბადრაკის სახახლე).

თამაშის დღეები: 14, 16, 18, 21, 23, 25, 28, 30 ნოემბერი.

დამთავრების დღეები: 15, 17, 19, 22, 24, 26, 29 ნოემბერი, 1 დეკემბერი

დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე.

მსაჯთა კოლეგია

მთავარი არბიტრი; საერთაშორისო არბიტრი მიროსლავ ფილიპი (ჩეხოსლოვაკია).

მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი თამარ სტრანდსტრემი (სსრ კავშირი).

მდივანი: რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლეილა ნაფუე